ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 150

ქალაქი ქუთაისი 21 მაისი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების არასამთავრობო ორგანიზაცია „Campus Lions Club Kutaisi-ისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 ოქტომბრის №1233 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

2012 წლის 19 ოქტომბერს გაფორმებული ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების №47 საიჯარო ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2. და 7.3. პუნქტების, წერილობითი გაფრთხილებების (05.02.2015 წელი, №01-691; 05.08.2015 წელი, №01/4318; 21.10.2015 წელი, №01/9198; 12.02.2016 წელი, №01/3287; 08.02.2017 წელი, №01/3082; 14.12.2017 წელი, №01/27349), ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის 29.01.2019 წლის №10-021902915 წერილობითი მომართვისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1. გამოცხადდეს ძალადაკარგულად „ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების არასამთავრობო ორგანიზაცია „Campus Lions Club Kutaisi-ისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 ოქტომბრის №1233 ბრძანება.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს „ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების არასამთავრობო ორგანიზაცია „Campus Lions Club Kutaisi-ისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის – ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 19 ოქტომბრის №1233 ბრძანების საფუძველზე, 2012 წლის 19 ოქტომბერს გაფორმებული ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების №47 საიჯარო ხელშეკრულების გაუქმებასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების გატარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია